

ქალაქ ქუთაისში, ყიული შარგავას ქუჩა N1 საცხოვრებელი სახლის
N54 ბინაზე, მოქალაქე ელისო ქოქოსაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა მოქალაქე ელისო ქოქოსაძის წარმომადგენლის ინემა თურქაძის განცხადება /2011 წლის 05.12 Nთ-9511/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ყიული შარგავას ქუჩა N1 საცხოვრებელი სახლის N54 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე ელისო ქოქოსაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღვილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღვილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ყიული შარგავას ქუჩა N1 საცხოვრებელი სახლის N54 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ელისო ქოქოსაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ყიული შარგავას ქუჩა N1 საცხოვრებელი სახლის N54 ბინაზე /საერთო ფართობი 51,73 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 28,10 კვ.მ, დამხმარე ფართობი 23,63 კვ.მ./ მოქალაქე ელისო ქოქოსაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიაშვილი.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევდორაძე